



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 13

2018 წლის 28 მარტი

ქ. ბათუმი

**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 მაისის №4/7 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 მაისის №4/7 დადგენილებაში (გაზეთი „აჭარა“ №74. 2007 წლის 15 მაისი გვ.13) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) დადგენილების 2.1. პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ხაზობრივი (საჰაერო) ნაგებობის მშენებლობისთვის პროექტით გათვალისწინებულ თითოეულ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ხაზობრივი (საჰაერო) ნაგებობის მშენებლობისთვის პროექტით გათვალისწინებულ თითოეულ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე

